



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულოს თავჯდომარე**



ბრძანება:ბ49.49220312

თარიღი:31/01/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში**

**შრომითი ხელშეკრულების პოზიციაზე (მძღოლი)**

**მიხეილ ჭეიშვილის მიღების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 83-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიხეილ ჭეიშვილი - მიღებული იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით პოზიციაზე - მძღოლად, 11 თვით, 2022 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. უფლებამოსილება განისაზღვროს დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
3. შრომითი გასამრჯელო განისაზღვროს 1100 ლარის ოდენობით (გადასახდელის ჩათვლით).
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2022 წლის 1 თებერვლიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ( ქ. ქუთაისი კუპრადის ქ. №11) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

